ინტერნეტ ცენზურის რელიგიური და პოლიტიკური ასპექტები

(Case study ირანი და საუდის არაბეთი)

ელენე ანთია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ელენე ანთია

28.06.2018

აბსტრაქტი

ტექნოლოგიის განვითარების პარალელურად ინტერნეტ ცენზურის სახით გაჩნდა ცენზურის ახალი ფორმა, რომელსაც გარკვეული ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ, მათ შორის ირანი და საუდის არაბეთი. ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის ნაკადის ზეგავლენით ავტორიტარი მმართველების გავლენის შესუსტების შიშით, გაიზარდა მათ მიერ დაწესებული ინტერნეტ ცენზურა. ხელისუფლების შეფასებით ესაა დასავლური კულტურული ექსპანსიის შეჩერებისა და ისლამური ღირებულებების დაცვის მცდელობა.

მოცემული ნაშრომი იკვლევს, თუ რატომ იყენებს ავტორიტარული რეჟიმი ინტერნეტ ცენზურას, პასუხად კითხვებზე: ეს ქმედება პოლიტიკურად არის მოტივირებული თუ რელიგიური ხასიათისაა.

ნაშრომი გაჟღერებული ჰიპოთეზის შესამოწმებლად იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ტექნიკებს: “შემთხვევის შესწავლას“, ინტერნეტ გამოკითხვას, სტრუქტურირებულ ინტერვიუს და ვებ-გვერდების კონტენტ ანალიზს. კვლევის კითხვის შესაბამისი მეცნიერული ვარაუდი პრესის ავტორიტარული თეორიიდან დედუქციურადაა მიღებული.

ნაშრომიდან დგინდება, რომ ირანსა და საუდის არაბეთში ინტერნეტ ცენზურა უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე რელიგიური. ხელისუფლებისათვის რელიგია წარმოადგენს ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტს და ვინაიდან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აკნინებს რელიგიას, წარმოადგენს გამოწვევას რელიგიური მმართველობისთვის. მას შეუძლია ავტორიტარი მმართველების ავტორიტეტის შესუსტება. შესაბამისად ინტერნეტ ცენზურა ხელისუფლებისათვის ძალაუფლების შენარჩუნების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

საძიებო სიტყვები: ინტერნეტ ცენზურა; ირანი; საუდის არაბეთი; რელიგიის გავლენა; პოლიტიკური მიზნები

Abstract

In parallel to the development of technology, new form of censorship has emerged: Internet censorship, which is actively implemented by certain countries, including Iran and Saudi Arabia. With the fear of weakening the influence of authoritative rulers by the data stream on the Internet, the censorship has increased. According to the government's assessment this action is suspension of Western cultural expansion and an attempt to protect Islamic values.

This work studies why the authoritarian regime uses internet censorship and if this action politically is motivated or religiously.

In order to test the hypothesis, thesis uses following qualitative and quantitative methodology tools: Case Study, internet survey, structured interview and content analysis of web-pages. The scientific assumption relevant to the research question is deducted from authoritative theory of press.

The study confirms that Internet censorship in Iran and Saudi Arabia is more political in nature than religious. Religion is an instrument for maintaining power by authorities and any information that influences religion is a challenge for religious governance, because it can reduce the influence of authoritative rulers. Accordingly the Internet censorship is an effective tool of maintaining power for the government.

Key words: Internet censorship; Iran; Saudi Arabia; Religious influence; Political goals